განმარტებითი ბარათი

„სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

პროექტის დამახასიათებელი ნიშნები:

პროექტი ეფუძნება: ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან

მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2402 განკარგულებას; ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 დეკემბრის №2401 განკარგულებას; საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 ოქტომბრის №1840 განკარგულებას საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის № 116 განკარგულებას; ასევე 2024 საბიუჯეტო წლის დასაწყისისათვის არსებული თავისუფალი სახსრების ნაშთის მიმართვის საფუძველზე აუცილებლობას წარმოადგენს ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტი''-ში ასახულ იქნეს სათანადო ცვლილებები და დამატებები.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2402 განკარგულების შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ,,საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან პუნქტი 1.36-ით სენაკის მუნიციპალიტეტისათვის დანართი №36-ით გამოყოფილ იქნა 5 657 908 (ხუთი მილიონ ექვსასორმოცდაჩვიდმეტი ათას ცხრაას რვა) ლარი, მათ შორის: მენჯის ადმინისტრაციული ერთეულისა და თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი(რეკა-ბათარია) გზის მოასფალტება ჩიხებით 59 570(ორმოცდაცხრამეტი ათას ხუთასსამოცდაათი) ლარი; ნოსირის ადმინიტრაციულ ერთეულში, საბესელიოს უბანში გზის რეაბილიტაცია - 93 238(ოთხმოცდაცამეტი ათას ორასოცდათვრამეტი) ლარი; ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში, ლესაჯაიეს უბანში გზის მოწყობა 70 639(სამოცდაათი ათას ექვსასოცდაცხრამეტი) ლარი; უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში ცემენტო ბეტონის საფარის მოწყობა 117602(ასჩვიდმეტი ათას ექვსასორი) ლარი; ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში ცემენტო ბეტონის საფარის მოწყობა 160 404(ასასმოცი ათას ოთხასოთხი) ლარი; ზანა-ეწერის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 100 493(ასი ათას ოთხასოთხმოცდაცამეტი) ლარი; გეჯეთის ადმინისტრაციული ერთეულიდან მარტვილის მუნიციპალიტეტის მიმართულებით არსებული გზის რეაბილიტაცია 142528(ასორმოცდაორი ათას ხუთასოცდარვა) ლარი; ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის ლეკირცხალიეს უბანში გზის რეაბილიტაცია და მილხიდების მოწყობა 60 810(სამოცი ათას რვაასათი) ლარი; ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში გახომელას უბანში გზის რეაბილიტაცია-114 756(ასთოთხმეტი ათას შვიდასორმოცდათექვსმეტი) ლარი;კოსტავას ქუჩის რეაბილიტაცია 141077(ასორმოცდაერთი ათას სამოცდაჩვიდმეტი) ლარი; ქურდოვანიძის ქუჩის ასფალტირება 246 573(ორასორმოცდაექვსი ათას ხუთასსამოცდაცამეტი) ლარი; წერეთლის ქუჩის (რუსთაველის ქუჩიდან ჭავჭავაძის ქუჩამდე) ასფალტირება 108 680(ასრვა ათას ექვსასოთხმოცი) ლარი; ვაჰანიას ქუჩის

ასფალტირება 196251(ასოთხმოცდათექვსმეტი ათას ორასორმოცდათერთმეტი) ლარი; ჯორჯაძის ქუჩის (ცოტნე დადიანის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩამდე) ასფალტირება 66 623(სამოცდაექვსი ათას ექვსასოცდასამი) ლარი; ბარათაშვილის ქუჩის ასფალტირება 113 116(ასცამეტი ათას ასთექვსმეტი) ლარი; ნინოშვილის ქუჩის ასფალტირება121 895(ასოცდაერთი ათას ხვაასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი; აღმაშენებლის ქუჩის ასფალტირება(რუსთაველის ქუჩიდან მშვიდობის ქუჩამდე) 236 408(ორასოცდათექვსმეტი ათას ოთხასრვა) ლარი; ცოტნე დადიანის ქუჩის ასფალტირება 383 183(სამასოთხმოცდასამი ათას ასოთხმოცდასამი) ლარი; რუსთაველის ქუჩის ასფალტირება 906 366(ცხრაასექვსი ათას სამასოცდაექვსი) ლარი; ჭავჭავაძის ქუჩის(აღმაშენებლი ქუჩიდან წერეთლის ქუჩამდე) ასფალტირება 411 673(ოთხასთერთმეტი ათას ექვსასსამოცდაცამეტი) ლარი; ქ.სენაკი, სტალინის ქუჩის მეორე შესახვევის ასფალტირება 343 218(სამასორმოცდასამი ათას ორასთვრამეტი) ლარი; ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭალეს უბანში გზის რეაბილიტაცია 537 629(ხუთასოცდაჩვიდმეტი ათას ექვსასოცდაცხრა) ლარი; ეკი-უშაფათის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 500 530(ხუთასი ათას ხუთასოცდაათი) ლარი; მაჩაბლის ქუჩის ასფალტირება 184 555(ასოთხმოცდაოთხი ათას ხუთასორმოცდათხუთმეტი) ლარი; თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეული გოლასკურის უბანში მინი სტადიონის მოწყობა 102077(ასორი ათას სამოცდაჩვიდმეტი) ლარი; ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში, გახომელას უბანში მინი მოედნის მოწყობა 138 014(ასოცდათვრამეტი ათას თოთხმეტი) ლარი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია „სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტი“-ში გაიზარდოს შემოსულობები - გრანტები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი, კერძოდ, კაპიტალური ტრანსფერი (კოდი1332112) 5 657 908 (ხუთი მილიონ ექვსასორმოცდაჩვიდმეტი ათას ცხრაას რვა) ლარით და შესაბამისად გაიზარდოს: გზების რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 5 417 817 (ხუთი მილიონ ოთხას ჩვიდმეტი ათას რვაასჩვიდმეტი) ლარით; სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 04) 240 091(ორასორმოცი ათას ოთხმოცდათერთმეტი) ლარით.

,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 დეკემბრის №2401 განკარგულებით ,,საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე და ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ,,საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სენაკის მუნიციპალიტეტს გამოუყო 738000 (შვიდასოცდათვრამეტი ათასი) ლარი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტი“-ში გაიზარდოს შემოსულობები - გრანტები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერით, კერძოდ, კაპიტალური ტრანსფერი (კოდი1332112) 738000 (შვიდასოცდათვრამეტი ათასი) ლარით და შესაბამისად გაიზარდოს სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში (პროგრამული კოდი 02 10) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 738000 (შვიდასოცდათვრამეტი ათასი) ლარით.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 ოქტომბრის №1840 განკარგულების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული იმ შენობა-ნაგებობების დემონტაჟის მიზნით, რომლებიც ამახინჯებენ მუნიციპალიტეტის იერსახეს ან/და სიცოცხლისათვის/ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველნი არიან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ,,საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართელოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სენაკის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილია 51000(ორმოცდათერთმეტი ათასი) ლარი, ამ ეტაპზე დარჩენილია 50491(ორმოცდაათი ათას ოთხასოთხმოცდათერთმეტი) ლარი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია „სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტი"-ში გაიზარდოს შემოსულობები - გრანტები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი, კერძოდ, კაპიტალური ტრანსფერი (კოდი1332112) 50491(ორმოცდაათი ათას ოთხასოთხმოცდათერთმეტი) ლარით და შესაბამისად გაიზარდოს კეთილმოწყობის ღონისძიებებში (პროგრამული კოდი 02 06) საქონელი და მომსახურების მუხლი 50491(ორმოცდაათი ათას ოთხასოთხმოცდათერთმეტი) ლარით.

,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის № 116 განკარგულებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ,,საქართველოს 2023 წლისსახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სენაკის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 150535,17(ასორმოცდაათი ათას ხუთასოცდათხუთმეტი ლარი 17 თეთრი) ლარით მიზანშეწონილია გაიზარდოს შემოსულობები - გრანტები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი, კერძოდ, სპეციალური ტრანსფერი (კოდი 1332111) 150535,17(ასორმოცდაათი ათას ხუთასოცდათხუთმეტი ლარი 17 თეთრი) ლარი და შესაბამისად გაიზარდოს სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია (პროგრამული კოდი 02 08) არაფინანსური აქტივების მუხლი 150535,17(ასორმოცდაათი ათას ხუთასოცდათხუთმეტი ლარი 17 თეთრი) ლარით.

ამასთან, 2024 საბიუჯეტო წლის დასაწყისისათვის არსებული თავისუფლი სახსრების ნაშთიდან ამ ეტაპზე მიზანშეწონილია მიმართული იქნეს თანხები 2023 წელს დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტების დასამთავრებლად, კერძოდ, იმ პროექტებზე, რომლებზეც იყო გაფორმებული მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვა, მათ შორის: ბორანის შესყიდვა 100 000(ასი ათასი) ლარი; რუსთაველის ქუჩაზე სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოები 100 000(ასი ათასი) ლარი; სცენის შესყიდვა 91000(ოთხმოცდათერთმეტი ათასი) ლარი; გახმოვანების აპარატურის შეძენა 150 000(ასორმოცდაათი ათასი) ლარი; კლიპის გადაღება 61680(სამოცდაერთი ათას ექვსასოთხმოცი) ლარი; მინი სპორტული მოედნების მოწყობა 303610 (სამასსამი ათას ექვსასათი) ლარი, სულ 806290(რვაასექვსი ათას ორასოთხმოცდაათი) ლარი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია განხორციელდეს ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი"-ს საკუთარი შემოსავლების გეგმაში ფინანსური აქტივების ცვლილება (კლება) 806290(რვაასექვსი ათას ორასოთხმოცდაათი) ლარით, ხოლო გადასახდელებში გაიზარდოს: კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 06) არაფინანსური აქტივების მუხლი 200000(ორასი ათასი) ლარით; კულტურული ღონისძიებების პროგრამაში (პროგრამული კოდი 05 02 04) არაფინანსური აქტივების მუხლი 241000(ორას ორმოცდაერთი ათასი) ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლი 61680(სამოცდაერთი ათას ექვსასოთხმოცი) ლარით; სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამაში (პროგრამული კოდი 05 01 05) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 303610 (სამასსამი ათას ექვსასათი) ლარით.

ყოველივე ზემოაღნიშნული ასახული უნდა იქნეს „სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №18დადგენილებაში, რისთვისაც წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს.

პროექტი მომზადებულია სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის მიერ.

სენაკის მუნიციპალი მერის პირველი მოადგილე		ბადრი ქუთელია
სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე		ნანა ზარანდია
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი		დონარა ალანია